

შპს „ვარკეთილარი“

ფინანსური ანგარიშგება


2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება	გვერდი
ანგარიში კომპილაციის შესახებ	1
სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
განმარტებითი შენიშვნები	6 - 12

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლ“).



ანგარიში კომპილაციის შესახებ

შპს „ვარკეთილაირის“ ხელმძღვანელობას:

ჩვენ განვახორციელეთ შპს „ვარკეთილაირის“ თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაცია თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ხასიათის ინფორმაციისგან.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის - დასს 4410 (გადასინჯული), *კომპილაციური გარიგებები* - შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რათა დაგხმარებოდით თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) შესაბამისად. ჩვენ დავიცავით შესაფერისი ეთიკური ნორმები, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების პრინციპები. ამ ფინანსურ ანგარიშგებასა და მისი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

24 მაისი 2019

შპს „ნიკას ფინანსური სერვისი“

შპს „ვარკეთილარი“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	გ/შ	2018	2017
შემოსავალი გაზის მიწოდებიდან	4	6,896,745	6,275,083
სხვა საოპერაციო შემოსავალი		220,225	407,398
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(5,463,255)	(5,092,302)
საერთო მოგება		<u>1,653,715</u>	<u>1,590,179</u>
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(1,439,037)	(1,421,449)
ფინანსური ხარჯი, ნეტო		(23,166)	(21,883)
მოგება დაბეგვრამდე		<u>191,512</u>	<u>146,847</u>
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლიური მოგება		<u><u>191,512</u></u>	<u><u>146,847</u></u>

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 24 მაისს.


 ნუგზარ მღვდელაძე
 დირექტორი




 ელენე სამხარაძე
 მთავარი ბუღალტერი

შპს „ვარკეთილარი“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	გ/შ	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	1,934,574	1,669,350
არამატერიალური აქტივები		7,206	2,176
		<u>1,941,780</u>	<u>1,671,526</u>
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		15,918	9,933
სესხები დაკავშირებულ მხარეებს		195,604	270,300
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,445,872	1,271,666
ფული და ფულის ეკვივალენტები		55,384	83,651
		<u>1,712,778</u>	<u>1,635,550</u>
სულ აქტივები		<u>3,654,558</u>	<u>3,307,076</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		1,599,215	1,404,460
		<u>1,601,215</u>	<u>1,406,460</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	8	650,000	702,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	1,403,343	1,198,616
		<u>2,053,343</u>	<u>1,900,616</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>3,654,558</u>	<u>3,307,076</u>

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 24 მაისს.

ნუგზარ მღვდელაძე
დირექტორი



ელენე სამხარაძე

მთავარი ბუღალტერი

შპს „ვარკეთილაირი“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,000	1,257,613	1,259,613
წლიური მოგება	-	146,847	146,847
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	1,404,460	1,406,460
წლიური მოგება	-	191,512	191,512
წინა პერიოდების კორექტირება	-	3,243	3,243
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	1,599,215	1,601,215

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 24 მაისს.

ნუგზარ მღვდელაძე
დირექტორი



ელენე სამხარაძე

მთავარი ბუღალტერი

შპს „ვარკეთილაირი“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	191,512	146,847
კორექტირებები:		
- ცვეთა და ამორტიზაცია	118,715	113,951
- გაუფასურების ზარალი	11,524	49,096
- ჩამოწერები	36,868	-
- საპროცენტო ხარჯი, ნეტო	23,166	21,883
- წინა პერიოდების კორექტირება	3,243	-
მოთხოვნების შემცირება / (ზრდა)	(222,598)	(46,370)
მარაგების შემცირება / (ზრდა)	(5,985)	326
ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)	204,727	(8,933)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები	361,172	276,800
 გადახდილი პროცენტი	(23,166)	(21,883)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(17,894)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ნეტო ფულადი სახსრები	338,006	237,023
 ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(383,114)	(373,852)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(5,855)	-
სესხები დაკავშირებულ მხარეებს	74,696	(220,300)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(314,273)	(594,152)
 ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების მიღება / (დაფარვა)	(52,000)	344,203
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(52,000)	344,203
 წმინდა ზრდა / (კლება) წლის განმავლობაში	(28,267)	(12,926)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	83,651	96,577
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	55,384	83,651

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 24 მაისს.

ნუგზარ მღვდელაძე

დირექტორი



ელენე სამხარაძე

მთავარი ბუღალტერი

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

ვარკეთილარი (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს ვარკეთილში, თბილისი. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ბუნებრივი აირის დისტრიბუცია: კომპანია ვარკეთილ 3-ს აწვდის გაზს, რომელსაც იძენს შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისისგან“ და პატარა ლილოს აწვდის გაზს, რომელსაც იძენს სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენისგან“.

კომპანიის მფლობელები არიან:

სს „საინვესტიციო კომპანია ვანო და კომპანია“	35%
ნუგზარ მღვდელაძე	20%
ივანე ცნობილაძე	18%
თეიმურაზ ნიკოლეიშვილი	7%
სხვა მფლობელები	20%
	<u>100%</u>

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) შესაბამისად. ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლ“) და მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები.

2.1. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი. შემოსავალი არის საქონლის საფასურად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას გამოკლებული უკან დაბრუნებები, სავაჭრო ფასდაკლებები და გაყიდვებზე დამოკიდებული გადასახადები (მაგალითად, დღგ).

გაზის მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება გაზის მრიცხველების ჩვენების საფუძველზე, რომელიც უჩვენებს კომპანიის აბონენტების მიერ გაზის მოხმარებას საანგარიშგებო პერიოდში.

მომსახურების გაწევიდან (გაზმომარაგების აღჭურვილობის დამონტაჟება) მიღებული შემოსავალი აღიარდება მომსახურების გაწევის თარიღში.

განმარტებითი შენიშვნები

2.2. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, წრფივად:

- გაზის სადისტრიბუციო ქსელი 2-10%
- სხვა 10%

2.3. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე.

2.4. ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები აღიარდება გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ხდება ფინანსური აქტივების გადახედვა, რათა შეფასდეს, არსებობს თუ არა ობიექტური სამხილი იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთი სამხილების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში. აქტივები, რომლებსაც ერიცხება სარგებელი (გაცემული სესხები), თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები აღიარდება გარიგების ფასით. სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. ვალდებულებები, რომლებსაც ერიცხება სარგებელი (მიღებული სესხები), თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები (საპროცენტო ხარჯი) აღიარდება მოგება-ზარალში.

2.5. მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა დააკანონა მოგების გადასახადის ახალი („ესტონური“) მოდელი, რაც ძირითადად გულისხმობს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების დივიდენდად განაწილების შემთხვევაში (ნაცვლად მოგების დაბეგვრისა გამომუშავების მომენტში). შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიის დასაბეგრი მოგება არის გადახდილი დივიდენდების ტოლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამრიგად, 2017 და

შპს „ვარკეთილბირი“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არ არსებობს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი.

2.6. უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ ყოფილა არსებითი ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები იყო შემდეგი:

	ლ / USD	ლ / EUR
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.68	3.07
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წელს	2.53	2.99
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს	2.59	3.10
საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წელს	2.51	2.83
გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბერს	2.65	2.79

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ამ ანგარიშგების მომზადებისას არ არის გამოყენებული ისეთი სააღრიცხვო შეფასებები, რომლებიც დაკავშირებულია მომავალ ფინანსურ წელიწადში აქტივების და ვალდებულებების მიმდინარე ნაშთების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკთან.

განმარტებითი შენიშვნები

4. შემოსავალი გაზის მიწოდებიდან

15,668,748 მ³ გაზის დისტრიბუცია გახორციელდა 2018 წელს (2017: 15,609,650 მ³), როცა გაზის დანაკარგი (სხვაობა შეძენილ და მიწოდებულ გაზს შორის წლის განმავლობაში) იყო 1.85% (2017: 4.40%).

გაზი მიეწოდება მოსახლეობას („სოციალური გაზი“) და კომერციულ საწარმოებს („კომერციული გაზი“). სოციალური გაზის ფასი რეგულირდება სახელმწიფოს მიერ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ („სემეკი“) საშუალებით. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის მიერ მიწოდებული სოციალური გაზის ფასი შეადგენდა 0.4869 ლარს 1 მ³-ზე (2017: 0.455 ლ/მ³) და კომერციული გაზის ფასი შეადგენდა 1.13 ლარს 1 მ³-ზე (2017: 1.11 ლ/მ³). ფასები მოიცავს დღგ-ს 18%-ის ოდენობით.

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება და საერთო და ადმინ. ხარჯები

	2018	2017
რეალიზებული გაზის თვითღირებულება	5,253,481	4,887,113
თანამშრომელთა ანაზღაურება	1,210,948	1,168,514
ცვეთა და ამორტიზაცია	118,715	113,951
გამოყენებული მარაგები	100,242	101,104
ჩამოწერები	36,868	-
გაუფასურების რეზერვი	11,524	49,096
სხვა ხარჯები	170,514	193,973
	6,902,292	6,513,751

2018 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის მიერ შეძენილი სოციალური გაზის ფასი შეადგენდა 0.35 ლარს 1 მ³-ზე (2017: 0.35 ლ/მ³) და კომერციული გაზის ფასი შეადგენდა 1 ლარს 1 მ³-ზე (2017: 0.98 ლ/მ³). ფასები მოიცავს დღგ-ს 18%-ის ოდენობით.

თანამშრომელთა ანაზღაურება მოიცავდა საკვანძო ხელმძღვანელების ანაზღაურებას 314,976 ლარის ოდენობით 2018 წელს (2017: ლ 305,135).

სხვა ხარჯები მოიცავდა ოფისის ფართის იჯარას 20,339 ლარის ოდენობით 2018 წელს (2017: ლ 20,339). საოფისე ფართს ფლობს საწარმო, რომელსაც აკონტროლებენ კომპანიის მფლობელები.

შპს „ვარკეთილარი“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

6. ძირითადი საშუალებები

	გაზის სადისტრიბუციო ქსელი	სხვა ქონება და აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
ღირებულება				
1 იანვარი 2017	1,924,406	71,680	-	1,996,086
შეძენა	170,729	10,095	193,028	373,852
31 დეკემბერი 2017	2,095,135	81,775	193,028	2,369,938
შეძენა	108,953	27,651	254,035	390,639
გასვლა	-	(12,541)	-	(12,541)
31 დეკემბერი 2018	2,204,088	96,885	447,063	2,748,036
დაგროვილი ცვეთა				
1 იანვარი 2017	552,118	34,903	-	587,021
პერიოდის ცვეთა	104,085	9,482	-	113,567
31 დეკემბერი 2017	656,203	44,385	-	700,588
პერიოდის ცვეთა	109,533	8,357	-	117,890
გასვლა	-	(5,016)	-	(5,016)
31 დეკემბერი 2018	765,736	47,726	-	813,462
ნარჩენი ღირებულება				
1 იანვარი 2017	1,372,288	36,777	-	1,409,065
31 დეკემბერი 2017	1,438,932	37,390	193,028	1,669,350
31 დეკემბერი 2018	1,438,352	49,159	447,063	1,934,574

გაზის სადისტრიბუციო ქსელის ერთეულები დაგირავებულია სესხების უზრუნველსაყოფად (გ/შ 8).

გაზის სადისტრიბუციო ქსელის ცვეთის ხარჯი შედის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში, ხოლო სხვა ქონების ცვეთის ხარჯი - საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს ორ ძირითად პროექტს, რომელთა გახორციელება დაიწყო 2017 წელს: (1) გაზის ახალი მილსადენის მშენებლობა, რომელიც კომპანიის გაზის სადისტრიბუციო ქსელს პირდაპირ დააკავშირებს გაზის ტრანსპორტირების სახელმწიფო კომპანიის მაგისტრალთან და (2) გაზის სადისტრიბუციო ქსელის მშენებლობა ვარკეთილის ახალ მიკრორაიონში. ორივე პროექტის დასრულება დაგეგმლია 2019 წელს.

მპს „ვარკეთილარი“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018	2017
მოთხოვნები გაზის მიწოდებიდან	1,566,660	1,307,530
სხვა მოთხოვნები დაკავშირებული მხარისგან	-	36,868
სხვა მოთხოვნები	139,906	149,752
წინასწარ გადახდილი გადასახადები, ნეტო	-	31,683
გადახდილი ავანსები	22,050	17,053
გაუფასურების რეზერვი	(282,744)	(271,220)
	1,445,872	1,271,666

თვის განმავლობაში გაზის მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების დაფარვა ხდება მომდევნო პერიოდებში. მოთხოვნა დეკემბერში მიწოდებული გაზიდან შეადგენდა 1,431,678 ლარს (2017: 1,127,104 ლარს).

8. მიღებული სესხები

	2018	2017
სესხი სს „თიბისი ბანკისგან“	650,000	700,000
სხვა სესხები	-	2,000
	650,000	702,000

„თიბისი ბანკისგან“ სესხის სარგებელი არის 10%. სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის ქონებით (გ/შ 6) და კომპანიის მფლობელთა თავდებობებით.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2018	2017
გაზის მომწოდებლისადმი დავალიანება	1,154,005	1,039,605
სხვა ვალდებულებები	70,816	106,010
გადასახდელი გადასახადები, ნეტო	46,829	-
მიღებული ავანსები	131,693	53,001
	1,403,343	1,198,616

10. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციები და ნაშთები კომპანიის მფლობელებთან, მათ მიერ კონტროლირებად საწარმოსთან და საკვანძო ხელმძღვანელობასთან, წარმოდგენილია ზემოთ გ/შენიშვნებში. სხვა არსებით ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან არ ჰქონია ადგილი.

შპს „ვარკეთილარი“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 24 მაისს.

2019 წლის 1 იანვრიდან, კომპანიისთვის გაზის ძირითადმა მომწოდებელმა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისმა“ გაზის საფასური დააფიქსირა აშშ დოლარში, რაზეც მიიღო სემეკის თანხმობა (2019 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე 1 მ³ სოციალური გაზის ფასი ტრანსპორტირებისა და დღგ-ის გარეშე არის 0.1037 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში).

სემეკი კომპანიის არ აძლევს უფლებას, ანალოგიურად დააფიქსიროს მიწოდებული სოციალური გაზის საფასური აშშ დოლარში და სანაცვლოდ პირდება, რომ წლის განმავლობაში ლარის გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალის ტარიფში ასახვის შესაძლებლობას მისცემს წლის ბოლოს. კომპანია მუშაობს აღნიშნულ პრობლემაზე და განიხილავს მისი აღმოფხვრის შესაძლებლობებს.

6. მკ



ე. ს. ხოძაძე